„ჩინგუტი საქართველოა, სიმღერი ჩვენ ვართ ყველაო“

კოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2021 წელი ● №23-24 (9517-9518) ● 1-31 დეკემბერი ● ფასი 1 ლარი

ბედნიერებას, მშვიდობას გისურვებთ!

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს. გისურვებთ სიხარულს, ბედნიერებას, მშვიდობასა და მატერიალურ კეთილდღეობას. გვჯერა, რომ მომავალი წელი სასიკეთო ცვლილებებით დაიწყება და უფრო ნაყოფიერი იქნება ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის.

პანდემიის მიუხედავად, 2021 წელი სენაკისათვის გამორჩეული იყო. განხორციელდა ბევრი ინფრასტრუქტურული, სოციალურ-ეკონომიკური პროექტი და საფუძველი ჩაეყარა ახალ ინიციატივებს.

სენაკის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო, მუდამ იდგა ქალაქისა და ადგილობრივი მოსახლეობის სამსახურში, აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხებში. ამ მიმართულებით მუშაობა 2022 წელსაც გაგრძელდება. ერთმანეთის მხარდაჭერითა და ერთად დგომით ყველაფერს შევძლებთ.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

სენაკში თოვლი მოვიდ

გილოცავთ!

ჩემს სენაკელებს, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქეს, გულითადად ვულოცავ დამდეგ შობა- ახალ წელს!

ახალი ენერგიით, იმედებით, მიზნისკენ დაუღალავი სწრაფვით ვხვდებით ახალ წელიწადს.

მიუხედავად პანდემიით შექმნილი ურთულესი გამოწვევებისა, ჩვენ ერთად შევძლებთ დაბრკოლებების დაძლევას, ქვეყნისთვის მუხლჩაუხრელი შრომით, ურთიერთსიყვარულით, ახალი იდეების ხორცშესხმით, წარმატებების მიღწევას.

მჯერა, 2022 წელი, ახალი პროექტების განხორციელების, ჩვენი ქვეყნის წინსვლის და განვითარების წელი იქნება.

თქვენ და თქვენს ოჯახებს გისურვებთ ჯანის სიმრთელეს, ულევ სიხარულს, სიკეთესა და წარმატებებს.

ეს ახალი წელი მშვიდობის, კეთილდღეობის, წინსვლის და გაძლიერების წელი ყოფილიყოს თითოეული თქვენგანისთვის და სრულიად საქართველოსთვის!

ვახტანგ გადელია

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი

სიკეთის, წარმატების და წინსვლის ახალი წელი გაგთენებოდეთ!

ძველი და ახალი წლის გზაგასაყართან მისაღწევის, საამომავლო საამოქმედო გეგმის განსაზღვრა უმნიშვნელოვანესია ადგილობრივი ხელისუფლების პირველი პირისთვის.

შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობამ გონივრული არჩევანი გააკეთა, როდესაც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში სენაკის მუნიციპალიტეტის მერად ახალგაზრდა, გულისხმიერი, მონდომებული, პრაქტიკული და თეორიული ცოდნით აღჭურვილი პიროვნება ვახტანგ გადელია აირჩია.

წინასაახალწლო დღეებში საკმაოდ დატვირთული დღის რეჟიმის მიუხედავად, მუნიციპალიტეტის მერმა, სიამოვნებით უპასუხა ადგილობრივი მედიის შეკითხვებს.

მკითხველს ვთავაზობთ ინტერვიუს ბატონ ვახტანგ გადელიასთან.

ბატონო ვახტანგ, თქვენ მოსახლეობამ ნდობა გამოგიცხადათ და აგირჩიათ მუნიციპალიტეტის მერად, თქვენი საარჩევნო პროგრამიდან, რას თვლით უპირველესად მოსაგვარებელ საქმედ?

მივესალმები საუკუნოვანი ბეჭდური სიტყვის ორგანოს - ,,კოლხეთის" მკითხველებს. ვისარგებლებ შემთხვევით და ჩემს სენაკელებს მადლობას გადავუხდი იმ დიდი ნდობისთვის, რომელსაც აუცილებლად გავამართლებ, ამისთვის მაქსიმალურად გამოვიყენებ ჩემს შესაძლებლობებს და გამოცდილებას; ჩვენი მუნიციპალიტეტის შემდგომი განვითარებისა და თითოეული თქვენგანის კეთილდღეობის სამსახურში ჩავაყენებ ჩვენს ხელთ არსებულ ყველა რესურსს.

ვაპირებ მოსახლეობის საჭიროებებზე გათვლილი უმნიშვნელოვანესი ინფრასტრუქტურული, ეკონომიკური, სოციალური, კულტურულ-საგანმანათლებლო და ტურისტული პროექტების განხორციელებას. თითოეული მიმართულება ერთმნიშვნელოვნად პრიორიტეტული და აქტუალურია. ამ პროექტებზე მუშაობას ერთდროულად და თანმიმდევრულად გავაგრძელებთ.

მოგეხსენებათ, სენაკს თავისი პოტენციალით, იერსახით, ეკონომიკური მაჩვენებლით, კულტურული მემკვიდრეობით, გამორჩეული ადგილი უჭირავს რეგიონში. რა არის საჭირო იმისთვის, რომ სენაკი გადაიქცეს ევროპული სტილის ქალაქად?

სენაკელობა, ტრადიციულად, ყოველთვის იყო გამორჩეული პასუხისმგებლობა, რაც მოდუნების საშუალებას არ აძლევდა, ამ კუთხის შვილებს — ეს უტყუარი ფაქტია.

მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა, ნიჭიერება და დახვეწილობა ყველა სფეროში, სენაკურ სინამდვილეში ყოველთვის განსაკუთრებულად მაღალი სტანდარტების მოთხოვნებს აყენებდა პასუხისმგებელი პირების წინაშე და ასე არის დღესაც... ამ კუთხით ჩემთვის სამაგალითოა დღემდე სენაკის განვითარებისთვის გაწეული ძალისხმევა. ამ კურსის გაგრძელება და განვითარება ჩემთვის დიდი გამოწვევა და პატივია, რომელსაც განუხრელად მივყვები და გავამდიდრებ ახალი იდეების ხორცშესხმით. მაქვს ბევრი საინტერესო ჩანაფიქრი ახალ პროექტებზე, საქმისადმი ნოვატორულ მიდგომებზე, რომლებიც მჯერა, აუცილებლად განხორციელდება ჩემი თანაქალაქელების, განსაკუთრებით, სენაკის ახალგაზრდობის ჩართულობით.

იმისათვის, რომ სენაკი გადაიქცეს ევროპული სტილის ქალაქად საჭიროა ინვესტიციების მოზიდვა, უფრო გრანდიოზული პროექტების განხორციელება და რაც მთავარია მაღალი სტანდარტის დამკვიდრება სამუშაოების განსახორციელებლად.

ბატონო ვახტანგ, პერიფერიების ძირითადი პრობლემა არის ახალგაზრდების გადინება დიდი ქალაქებში. თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ახალგაზრდობა დასაქმდეს ჩვენს მუნიციპალიტეტში?

ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდებისთვის აუცილებლად ადგილზე უნდა შეიქმნას დასაქმებისა და განვითარების შესაძლებლობები.

აუცილებელია მათი ჩართულობა სოციალურ-ეკონომიკურ თუ კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობებში; ახალგაზრდების ხედვების, იდეების გათვალისწინება და მათი მაქსიმალური ხელშეწყობა. ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელება და ამ სექტორის აქტიური მხარდაჭერა ჩემი სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია.

ცნობილია, რომ კოლხი კაცი ტრადიციების უდიდესი თაყვანისმცემელია. როგორია თქვენი დამოკიდებულება საახალწლო ადათ-წესებისადმი?

შობა-ახალი წლის დღესასწაულები ბავშვობის ასაკიდანვე გამორჩეულად ძვირფასი იყო ჩემთვის. როგორც საქართველოს ძირძველი კუთხის, სამეგრელოს შვილი, განსაკუთრებულად ვაფასებ ყველა იმ ტრადიციას და რიტუალს, რომელიც თან სდევს ამ ულამაზეს დღეებს.

თქვენი საახალწლო სურვილი, რომლის ახდენასაც ინატრებდით?

მინდა წინასწარ მოგილოცოთ ყველას დამდეგი შობა-ახალი წელი. ვინატრებდი თითოეული თქვენგანის ჯანმრთელობას და კეთილდღეობას.

ვისურვებდი, რომ ჩემს ქვეყანას გამთლიანების, სიკეთის, განსაცდელთა დაძლევის, ბედნიერების, წარმატებების და წინსვლის ახალი წელი გათენებოდეს.

P.S. გაზეთ ,,კოლხეთის" შემოქმედებითი ჯგუფი ბატონ ვახტანგ გადელიას ულოცავს დამდეგ 2022 წელს, უსურვებს პირად ბედნიერებას, ჯანმრთელობას, წარმატებულ საქმიანობას და ადამიანის საჭიროებებზე მორგებული გადაწყვეტილებების მიღებას.

მოამზადა
მედეა ბაღათურიამ

ტრადიციულ და ზნეობრივ ფასეულობებს დაცვა სჭირდება

ძვირფასო მკითხველო, ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ, რომ თითოეული ნომრის სტუმარი იყოს ყველასთვის საინტერესო და სასიამოვნო ადამიანი. მით უფრო, თუ ისინი არიან საზოგადოებისთვის ცნობილი, ტარდიციების მქონე ოჯახების შვილები. ჩვენც წინასაახალწლოდ ვეცადეთ შეგვერჩია სწორედ ასეთ რესპონდენტი, გამორჩეული პიროვნება, 2021 წლის სენაკის საპატიო მოქალაქე, დამსახურებული ექიმი ქალბატონი მარინე გელანტია. მის მრავალმხრივ და მრავალფეროვან ბიოგრაფიას მოკლედ თქვენ წინა ნომერში გაეცანით. ამჯერად კი ვრცლად მოგაწვდით ქალბატონი მარინეს ბიოგრაფიულ შტრიხებს.

მარინე გელანტია დაიბადა სენაკში, 1975 წელს დაამთავრა სენაკის მეორე საშუალო სკოლა, 1972 წელს დაამთავრა სენაკის სამუსიკო სკოლა. სკოლის პერიოდში აქტიურად მონაწილეობდა რაიონის მასშტაბით კოლტურულ-ღონისძიებებში. მიღებული აქვს 5 ოქროსა და 3 ვერცხლის მედალი, მრავალი სიგელი და დიპლომი. 1977-1983 წ.წ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. 1996 წელს ჯანდაცვის სამინისტროს საატესტაციო კომისიის მიერ მიენიჭა თერაპევტის უმაღლესი კატეგორია. 2007 წელს მიენიჭა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის წოდება. სხვადასხვა დროს მუშაობდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის საორგანიზაციო განყოფილების ქალაქ თბილისის კოორდინატორად, თბილისი ერთ-ერთი საარჩევნო უბნის თავმჯდომარედ.

1984-1985 წლებში მუშაობდა აბაშის რაიონული საავადმყოფოს პოლიკლინიკის ენდოკრინოლოგად. 1985 წელს ქ.სოხუმის სასწრაფო სამედიცინო სადგურის მორიგე ექიმად. 1985-1986 წ.წ სოხუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმღები განყოფილების ექიმად. 1986-1988 წ.წ. ქ სოხუმის ამიერკავკასიის რკინიგზის საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების ექიმად. 1988-1993 ქ. სოხუმის ამიერკავკასიის რკინიგზის საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილედ სამკურნალო დარგში. 1986-1993 წ.წ. პარალელურად მუშაობდა ქ.სოხუმის ჯაფარიძის სახელობის სამედიცინო სასწავლებლის პედაგოგად 1991-1993 წ.წ. ქ. სოხუმის რკინიგზის საავადმყოფოსთან არსებული სამედიცინო სასწავლებლის სასწავლო ნაწილის გამგედ. 1997-2005 წ.წ. აფხაზეთის სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სამედიცინო ჯგუფის უფროსად. 2012 -2013 წლებში აკად. ო.ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის სამედიცინო დირექტორად. 2013-2015 წლებში ამავე კლინიკის მოქალაქეთა მომსახურების და ფინანსური მონიტორინგის განყოფილების უფროსად. 2015-2019 წლებში მუშაობდა აკად. ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილედ. 2019 წლიდან 2021 წლის მარტამდე ამავე ცენტრის გენერალურ დირექტორად.

2021 წლის მარტიდან დღემდე კი მუშაობს ქ. თბილისი ს.ს. ჩაჩავას კლინიკის გენერალურ დირექტორად.

საქართველოს პრემიერ მინისტრის 2021 წლის 12 თებერვლის ბრძანებით ქალბატონი მარინე გახდა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრი.

იგი აგრეთვე არის საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მაიორი.

ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და შვილიშვილი.

მამა – გიორგი გელანტია საქართველოში და სენაკის რაიონში ცნობილი ლოტბარი გახლდათ, ანსამბლ „ოდოიას“ სოლისტი. სენაკელები დიდი სითბოთი იგონებენ ტრიო „სენაკს“, რომლის ხელმძღვანელი იყო განსაკუთრებული ვოკალური მომაცემებით გამორჩეული დარეჯან გელანტია, მარინეს და.

ვფიქრობთ მკითხველს დააინტერესებს ქალბატონ მარინეს მოგონება სენაკსა და სენაკელებზე.

ქალბატონო მარინე, სენაკში კარგად ახსოვთ გიორგი გელანტიას ტრადიციული ოჯახი. გთხოვთ გაიხსენოთ რომელიმე ეპიზოდი თქვენი ბავშვობიდან მოსწავლეობიდან, რომელიც გამორჩეულად მიგაჩნიათ. საერთოდ როგორია თქვენს წარმოსახვაში „ოდაბადე“?

ჩემმა მშობლებმა, სენაკელებისთვის ცნობილმა პიროვნებებმა, გიორგი გელანტიამ და ხუნტული დგებუაძემ საზოგადოებაში წლების წინ დაიმკვიდრა ტრადიციული ოჯახის სტატუსი, რომლებისთვისაც მნიშვნელოვანი იყო ადამიანური ურთიერთობა, სიყვარული, სითბო და ურთიერთპატივისცემა, მშობლიური ქალაქისადმი სიყვარული. ასეთ გარემოში ცხოვრებამ და მამის რჩევამ – „შენ სიტყვით შეგიძლია ადამიანების განკურნებაო“, შემაგულიანა და ჩემს მომავალზე გადამწყვეტი როლი ითამაშა -- გავმხდარიყავი ყურადღებიანი, ,,ოდაბადეს'' მოყვარული ექიმი და არა მუსიკოსი, თუმცა სპეციალისტები დიდ მომავალს მიწინასწარმეტყველებდნენ.

მშობლიური ქალაქის მკვიდრთან, უცნობთან თუ ნაცნობთან, შეხვედრა დღემდე ჩემთვის განსაკუთრებით ამაღელვებელია და მნიშვნელოვანია.

ჩემთვის სასიამოვნოდ მოსაგონარია სკოლის პერიოდი, რაიონში ჩატარებული უამრავი კულტურული ღონისძიება, რომელშიც ჩემი ოჯახის თითქმის ყველა წევრი ვღებულობდით აქტიურ მონაწილეობას. ჩემი დის, დარეჯან გელანტიას სასცენო მოღვაწეობა, ახალგაზრდა ასაკში გარდაცვალებამდე, დიდხანს გაგრძელდა. სენაკში ჩემი ,,მოღვაწეობა'' კი დასრულდა 5 ოქროს და 3 ვერცხლის მედლით. მრავალი დიპლომით და სიგელით.

დღემდე მენატრება სენაკის თეატრის სცენა, ჩემი საშუალო თუ მუსიკალური სკოლა, მშობლიური, კოპწია ქალაქი, ჩემი ,,ოდაბადე''.

ქალბატონო მარინე, რა არის საჭირო იმისათვის, რომ ახალგაზრდამ შეინარჩუნოს ქართული ტრადიციები, სულიერი და ზნეობრივი ღირებულებები, ასე ვთქვათ ჯანსაღი სხეული და სული -- რა რჩევას მისცემდით თქვენ, როგორც ექიმი ახალგაზრდებს?

შეუძლებელია ახალგაზრდა იზრდებოდეს ქართული ტრადიციული ღირებულებების უგულებელყოფის ატმოსფეროში. არ გვმართებს გატაცება მხოლოდ დასავლეთის, ან აღმოსავლეთის, თუნდაც ჩრდილოეთის ან სამხრეთის კულტურით და წეს-ჩვეულებებით, არამედ ერთგულნი უნდა დავრჩეთ ჩვენი ქართული ტრადიციების, წინაპართა ღვაწლით დღემდე მოტანილი სულიერი ღირებულებების.

ახალგაზრდებს ვურჩევდი, ზღვარგადასულ ,,თავისუფლებას'' ნუ გაიზიარებთ. სულიერებას, ზნეობრიობას მოკლებული ადამიანი უფრო და უფრო შთაინთქმება ცოდვის, სიძულვილის უფსკრულში.

ტრადიციულ და ზნეობრივ ფასეულობებს დაცვა სჭირდება. ეს კი თითოეული ჩვენთაგანის ვალია.

რომელი წელი იყო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი თქვენთვის?

ჩემს ცხოვრებაში გამარჯვებებით და წარმატებებით გამოწვეული ბევრი სიხარული მიზეიმია, მაგრამ ის რაც მიმდინარე წლის სექტემბერში განვიცადე, იყო ფაქტი, რამაც გამხადა ღირსი ვატარო მშობლიური ქალაქის ,,საპატიო მოქალაქის'' წოდება. სიხარულმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს, რომელიც კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას მაკისრებს. მიყვარს და მეამაყება, რომ ვარ ,,სენაკის შვილი''.ამისთვის ღირდა სიცოცხლე!

მადლობა ამ სიამოვნებისთვის ქალაქის ხელმძღვანელობას, სენაკელებს!

ქალბატონო მარინე, იცხოვრებდით თუ არა საზღვარგარეთ შესაძლებლობის შემთხვევში?

სხვა სამშობლო არსად არ მეგულება. დღევანდელი გადმოსახედიდან, საქართველოს ფარგლებს გარეთ ვერ ვიცხოვრებდი.

რას უსურვებთ საახალწლოდ სენაკელებს და საერთოდ ქართველ ერს?

მშვიდობის, სიკეთის, სიყვარულის მომტანი, სიხარულით აღსავსე ყოფილიყოს დამდეგი ახალი წელი სრულიად საქართველოსთვის!

ყველა ერთად უნდა დავდგეთ, როგორც ერთი ძლიერი ოჯახი, მეტად უნდა მოვუსმინოთ ერთმანეთს, ჩვენ ვქმნით ახალ წელს, ჩვენ შეგვიძლია შევცვალოთ ჩვენი ახალი წელი, რათა ერთად ვიამაყოთ გაკეთებული კარგი საქმეებით და მიღწეული შედეგებით.

უსაზღვრო სიყვარული ადამიანების მიმართ და ზრუნვა მათზე, უშრეტი ენერგია, მუდმივად ახალი ინოვაციების ძიება და ოპტიმიზმი არის თვისებები, რომელიც გააჩნია ჩვენს მშვენიერ რესპოდენტს.

რედაქციის სახელით დამდეგ შობა-ახალ წელს ვულოცავთ ქალბატონ მარინე გელანტიას. ვუსურვებთ ჯანმრთლობას, ბედნიერ ცხოვრებასა და წარმატებებს პროფესიულ საქმიანობაში. სიხარულითა და ლამაზი დღეებით სავსე ცხოვრება გქონოდეთ.

დაე, იყოს მშვიდობა ჩვენს სამშობლოსა და სრულიად სამყაროში, რომ ყველას შეგვეძლოს ჩვეული სითბოთი და სიყვარულით ვაკეთოთ ჩვენი საქმე.

მოამზადა
მარიკა მიქაბერიძემ

პროგრამების მიზანი- მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება

ნომრის სტუმარია სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური სამსახურის უფროსი ქალბატონი ნატალია ხუბუა.

იგი დაიბადა 1966 წელს. 1983 წელს დამთავრა სენაკის მეორე საშუალო სკოლა ოქროს მედალზე. უმაღლესი განათლება მიიღო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც ასევე წარჩინებით დაამთავრა.

2005-2007 წლებში იყო სენაკის პირველი საშუალო სკოლის დირექტორი. 2006-2014 წლამდე სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამი მოწვევის დეპუტატი და საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე. 2014 წლიდან დღემდე სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური სამსახურის უფროსია. ჰყავს მეუღლე და ერთი ქალიშვილი.

განათლებული და კომპეტენტური საჯარო მოხელე გამოირჩევა გულისხმიერებით, თვლის, რომ მერიის ნებისმირი სამსახურის საქმიანობა მიმართული უნდა იყოს საზოგადოებასთან მუდმივი კავშირისკენ. ჩვენ ორი კითხვით მივმართეთ ქალბატონ ნატალიას. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც დაეხმარება მკითხველს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში არსებული სიახლეების გაცნობაში.

ქალბატონო ნატალია, გთხოვთ მოკლედ გვსაუბროთ სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის სხვადასხვა ფენების შეღავათებზე და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებზე

მოსახლეობის ჯანმრთელობისა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას.

პროგრამები ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის სხვადასხვა ფენის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებით უზრუნველყოფას, კერძოდ: მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უფასო ამბულატორიული მომსახურეობითა და მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფას, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სარიტუალო მომსახურებას, ხანძრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოქალაქეების დახმარებას, სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილი მოქალაქეების ბინის ქირით უზრუნველყოფას, ჯანმრთელობა გაუარესებულ მოქალაქეთა სტაციონარული, ამბულატორიული და მედიკამენტოზური მკურნალობის თანადაფინანსებას. პროგრამების ფარგლებში ყოველთვიური ფინანსური დახმარება გაეწიათ თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მოქალაქეებს, იშვიათი დაავადების მქონე პირებს, მრავალშვილიან ოჯახებს, დედ-მამით ობოლ ბავშვებს, იშვიათი დაავადების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, 100 წელს მიღწეულ ხანდაზმულებს, აგვისტოს ომის დროს ომში დაღუპულის ოჯახებს, დაწყებითი კლასების მოსწავლეების პროფილაქტიკურ გამოკვლევას. აღნიშნული პროგრამები მთლიანობაში უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მიმდინარე წელს განხორციელებული პროექტებიდან მინდა განსაკუთრებით გამოვყო პროექტი „ვიზრუნოთ უფროს თაობაზე". სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ასოციაცია „ჰანგი" პროექტის ფარგლებში 2020 წლის ოქტომბრიდან თავაზობს შინმომსახურებას ოც მარტოხელა და მარტო მცხოვრებ ხანდაზმულს, მათ შორის არიან სოციალურად დაუცველები, ონკოლოგიური ავადმყოფები, შშმ პირები, რომლებიც განსაკუთრებულ მოვლა-პატრონობას საჭიროებენ. მარტოხელა ხანდაზმულთათვის მსგავსი მომსახურების მიწოდება სენაკის მუნიციპალიტეტში ასოციაციამ „ჰანგი" „საქართველოს არბაითერ სამარიტერ ბუნდის" (ASB) ფინანსური მხარდაჭერით და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით დაიწყო 2020 წლის ოქტომბრიდან. პროექტის მონიტორინგმა გვაჩვენა მისი შედეგები, თუ რამდენად შეიცვალა ბენეფიციართა ცხოვრება, მათი ფსიქოსოციალური მდგომარეობა. შინმომსახურებას ახორციელებს პრაქტიკული გამოცდილების მქონე მობილური ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია შემდეგი სპეციალისტებით: სოციალური მუშაკი, დამლაგებელი (დიასახლისი), მეეზოვე და მძღოლი - რომელსაც ასევე შეუძლია საჭიროების შემთხვევაში შეაკეთოს საოჯახო ინვენტარი, ელექტრომოწყობილობები, ავეჯი, ელექტროგაყვანილობა. სულ 4 პირი. მათ ემსახურებათ სატრანსპორტო საშუალება, რომელსაც მობილური ჯგუფი გადაჰყავს ბენეფიციარებთან, ასევე ამ მანქანაში ჩამონტაჟებულია სარეცხი მანქანა, წყლის ავზი. აღჭურვილია საჭირო ინვენტარით და ხელსაწყოებით.შინ მომსახურების მიზანია ხანდაზმულთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, ჰიგიენური პირობების მოწესრიგებით მათი ჯანმრთელობის გაუარესების პრევენცია და ღირსეული პირობების შექმნა.

მოგეხსენებათ ახალი წელი იმედების და სურვილების დღესასწაულია, რას უსურვებთ ჩვენს მოსახლეობას, ახალგაზრდობას?

მალე შემობრძანდება ახალი წელი, გულწრფელ სურვილებს დიდი ძალა აქვს. ბედნიერება, ბევრი ღიმილი დაჰბედებოდეს ამ ახალ წელს ჩვენს ახალგაზრდობას, ქართველ ერს, ღვთითკურთხეულ ქვეყანას, მთელ სამყაროს! ვულოცავ სრულიად საქართველოს-წარმატებული და სვებედნიერი ყოფილიყოს 2022 წელი!

მოამზადა
მ. ეჯიბიამ

ბატონ ვახტანგ გადელიას!

ჩემო ვახტანგ!

ერის უანგარო მოამაგეებისა და ჭეშმარიტი მამულიშვილების გადელიების კეთილშობილურ გარემოცვასა და ჯანსაღ ტრადიციებზე აღზრდილო ვაჟკაცო, ყოველთვის იყავი შენი ქვეყნის, მოყვასის, მშობლიური კუთხის მოამაგე, ერთგული და პატივისმცემელი, ამიტომაც ხარობს სენაკი, სენაკელები, რომ სწორედ თქვენ გერგოთ წილად, ემსახუროთ მშობლიურ ქალაქს და თქვენი ახალგაზრდული ენერგია, ცოდნა, გამოცდილება მოახმაროთ ჯერ კიდევ უამრავი პრობლემის წინაშე მდგომი ქალაქისა და სოფლების აღმშენებლობას, გასაჭირში მყოფი მოსახლეობის კეთილდღეობას, ნიჭიერი, შრომისმოყვარე, გულანთებული ახალგაზრდების წარმოჩენასა და ხელშეწყობას.

გვჯერა, რომ დეპუტატთა ახალი შემადგენლობის თანადგომით თქვენ შეძლებთ ამ დიდი მისიის შესრულებას.

გვწამს, რომ თქვენი მიზანდასახულობითა და პასუხისმგებლობით თავს გაართმევთ ურთულეს გამოწვევებს...

უფლის ლოცვა-კურთხევა და შემწეობა არ მოგკლებოდეთ ამ რთულ და კეთილშობილურ საქმეში.

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელიწადს!

ღვთის წყალობა და მფარველობა არ მოგკლებოდეთ!

ოჯახის სახელითა და
ღრმა პატივისცემით
იზარდი წოწონავა

მხარეთმცოდნეობის მუზეუმში

8 დეკემბერს მუნიციპალიტეტის მერი ბატონი ვახტანგ გადელია ეწვია სენაკის ჟიული შარტავას და მხარეთმცოდნეობის მუზეუმებს. მას თან ახლდნენ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ლევან უჩანეიშვილი და სენაკის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დირექტორი ბადრი ქუთელია.

მუზეუმში სტუმრად მყოფნი შეხვდნენ თანამშრომლებს. დაათვალიერეს საგამოფენო დარბაზები და სამუზეუმო სივრცეში წარმოდგენილი ექსპონანტები.

კოლექტივის სახელით ქალბატონმა მარინე აბრამიამ და ბატონმა დამირ კუჭავამ მიულოცეს ბატონ ვახტანგს სენაკის მუნიციპალიტეტის მერად არჩევა და უსურვეს წარმატებული საქმიანობა.

***

7 დეკემბერს, სენაკის ჟიული შარტავასა და მისივე სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებს ესტუმრნენ სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზდობისა და კულტურის ცენტრის ახალდანიშნული დირექტორი ბატონი ბადრი ქუთელია და დირექტორის მოადგილე ქალბატონი ნათია ეჯიბია.

შედგა პირველი სამუშაო შეხვედრა მუზეუმის თანამშრომლებთან. დაათვალიერეს მუზეუმის საგამოფენო დარბაზები, გაეცნენ ფონდსაცავსა და იქ დაცულ ექსპონანტებს.

ცენტრის ხელმძღვანელებმა გულდასმით მოისმინეს ცალკეული გადასაწყვეტი საკითხები, დაგეგმილი ღონისძიებები და დასახეს მომავალი თანამშრომლობის ამოცანები.

მუზეუმის თანამშრომელთა სახელით ქალბატონმა მარინე აბრამიამ და ბატონმა დამირ კუჭავამ მადლიერებით აღნიშნეს ბატონ ლევან უჩანეიშვილის ხელმძღვანელობის პერიოდში გაწეული ერთობლივი საქმიანობა და თავის მხრივ აღუთქვეს ახალ ხელმძღვანელს, რომ მომავალში მუზეუმის კოლექტივი ყველაფერს გააკეთებს თავის ცოდნისა და გამოცდილების სათანადოდ წარმოჩენისთვის

-გვჯერა, თქვენი საქმიანობით ახალგაზრდული ენერგიით სათანადო წვლილს შეიტანთ ჩვენი მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების აღმშენებლობისა და წინსვლის საქმეში. წარმატებული საქმიანობა იყოს მუდამ თქვენი ცხოვრების თანამგზავრი"...

-აღინიშნა შეხვედრისას.

ხათუნა ჭაავა,
სენაკის ჟიული შარტავას
სახელობის მუზეუმის
თანამშრომელი

მუნიციპალიტეტის მერიაში

სენაკი - ,,2021 წლის საუკეთესო პარტნიორი მუნიციპალიტეტი" გახდა

15 დეკემბერს, ქ. თბილისში, ,,საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის" (GAEN) 2021 წლის პროექტების შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიებაზე, რომელსაც სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, გრიგოლ ბაღათურია, სენაკის სათემო/ზრდასრულთა განათლების ცენტრის დირექტორი, ნონა ქადარია ესწრებოდნენ, გამომსვლელებმა - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ცენტრის დირექტორმა, ნინო ბაბალაშვილმა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩმა საქართველოში, ჰუბერტ ქნირშმა, სამხრეთ კავკასიის განვითარების თანამშრომლობის დეპარტამენტის უფროსმა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩმა საქართველოში, ლინდია ქრისთმანმა და კავკასიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონალურმა დირექტორმა, მაია ავრამოვსკმა ზრდასრულთა განათლების მნიშვნელობის შესახებ და ისეთი სისტემის შემქნის ხელშეწყობაზე ისაუბრეს, რომელიც საქართველოში მცხოვრები ნებისმიერი ზრდასრული ადამიანისთვის, განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს.

შემაჯამებელი ღონისძიება გამარჯვებულთა დაჯილდოებით დასრულდა. გამოვლენილ ნომინანტთა შორის, სენაკის მუნიციპალიტეტს — ,,2021 წლის საუკეთესო პარტნიორი მუნიციპალიტეტის" ტიტული მიენიჭა.

საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი 2014 წელს დაარსდა და ის ამ ეტაპზე, 13 სათემო/ზრდასრულთა განათლების ცენტრს აერთიანებს. მათ შორისაა, სენაკის სათემო განათლების ცენტრი, რომელთანაც სენაკის მუნიციპალიტეტის მერია აქტიურად და წარმატებულად თანამშრომლობს.

მოქალაქეთა მორიგი მიღება

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ მოქალაქეთა მორიგი მიღება გამართა.

ადგილობრივებმა მერთან მათთვის საჭირბოროტო და აქტუალურ საკითხებზე ისაუბრეს.

მუნიციპალიტეტის მერი მოქალაქეების პრობლემებს გაეცნო და კომპეტენციის ფარგლებში, საკითხების გადაჭრა შესაბამის სამსახურებს დაავალა.

,,ჩვენ, ადგილობრივი თვითმმართველობა, ყველა შესაბამის სამსახურთან ერთად, მაქსიმალურად ვცდილობთ დროულად და ეფექტურად გადავწყვიტოთ ჩვენი მოქალაქეების წინაშე მდგარი პრობლემები. მსგავსი ხასიათის შეხვედრები გაგრძელდება. ჩემი მიზანია ვიზრუნო თითოეული სენაკელის კეთილდღეობისთვის" — აღნიშნა სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ.

მოქალაქეთა მიღება ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების სრული დაცვით ჩატარდა. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში, მოქალაქეთა მიღება მერთან, ყოველი კვირის ოთხშაბათს, 12:00 საათიდან დაიწყება.

მერთან შეხვედრის მსურველებს შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე: 568 799779

პროექტი „განახლებული რეგიონების" ფარგლებში

პრემიერ მინისტრის ინიციატივით დაწყებული პროგრამის ,,განახლებული რეგიონების" ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტში, ქალაქის ცენტრალური პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

რეაბილიტაციის პროცესს სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო.

მასშტაბური პროექტის განხორციელებით, სენაკს, განახლებული, მრავალფუნქციური რეკრეაციული სივრცე შეემატება.

პროექტს, რომლის ღირებულება 3 000 000 ლარს შეადგენს, შპს ,,დაგი'' ახორციელებს.

,,განახლებული რეგიონების" 4 წლიანი პროგრამა საქართველოს 63 მუნიციპალიტეტს მოიცავს და მისი მხოლოდ პირველი ეტაპის საორიენტაციო ღირებულება 500 მილიონი ლარია.

პროგრამა ითვალისწინებს რეგიონების ურბანულ განახლებას, რაც სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტის და კერძო საკუთრებაში არსებული მნიშვნელოვანი ობიექტის განვითარებას გულისხმობს.

პროექტები მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების უშუალო ჩართულობით სპეციალურმა კომისიამ დაამტკიცა, ხოლო სამშენებლო კომპანიები - მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერებით შეირჩა. სპეციალური კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის, ისე ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები და სივრცითი დაგეგმარების სპეციალისტები.

პროგრამის დასრულების შემდეგ, ქვეყნის რეგიონებში განახლდება ცენტრალური ქუჩები, რეაბილიტირდება და მოეწყობა ახალი სკვერები და სხვა მუნიციპალური ინფრასტრუქტურა.

დიდი პატივია

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, გამორჩეული ღვაწლისა და ქართულ-ებრაული 26 საუკუნოვანი უნიკალური ურთიერთობების განვითარებაში შეტანილი უმნიშვნელოვანი წვლილისთვის, სენაკის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭა ძირძველ სენაკელს, მსოფლიოს ქართველ ებრაელთა მთავარ რაბინს, იერუშალაიმის და აშდოდის მთავარ რელიგიურ მოსამართლეს, იაკობ გაგულაშვილს.

მუნიციპალიტეტის მერმა, მთავარ რაბინს საპატიო სენაკელის სიგელი და მედალი ქ. თბილისში, სიმბოლურად, ხანუქას დღესასწაულზე გადასცა.

,,ჩემთვის დიდი პატივია თქვენს წინაშე წარვდგე სენაკისა და სენაკელების სახელით.

ებრაელ ხალხს, განსაკუთრებით - ჩვენს ქართველ ებრაელებს ვულოცავ ხანუქას - რწმენისა და განახლების დღესასწაულს.

სენაკელებს განსაკუთრებული მეგობრობა გვაკავშირებს ებრაელ ხალხთან. ამ უნიკალური ურთიერთობის სიმბოლური გამოხატულებაა ჩვენს ქალაქში დამკვიდრებული სენაკელი ებრაელის საპატიო სტატუსი.

მინდა გაუწყოთ, რომ მსოფლიოს ქართველ ებრაელთა მთავარ რაბინს, იაკობ გაგულაშვილს, გამორჩეული ღვაწლისა და ქართულ-ებრაული 26 საუკუნოვანი უნიკალური ურთიერთობების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, გადავცემ სენაკის საპატიო მოქალაქის ტიტულს და შემდგომ წარმატებებს ვუსურვებ" - აღნიშნა ვახტანგ გადელიამ

საკალათბურთო მოედნის გახსნა

სენაკში, გაიხსნა მსოფლიო დონის კალათბურთელის, სენაკის საპატიო მოქალაქის, ზაზა ფაჩულიას სახელობის საკალათბურთო მოედანი.

პროექტი, ზაზა ფაჩულიას ინიციატივით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის და კომპანია ,,გალფის" ერთობლივი ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა. გახსნის ცერემონიალს ქართული კალათბურთის ცოცხალი ლეგენდა, ზაზა ფაჩულია, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე, ოთარ დანელია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, გრიგოლ ბაღათურია, ,,Petrocas Energy Group"-ის პრეზიდენტი, ვანო ნაკაიძე, ადგილობრივი თვითმმართველობის, კომპანია ,,გალფის" წარმომადგენლები და გულშემატკივრები ესწრებოდნენ.

საკალათბურთო კორტზე, სენაკის სასპორტო გაერთიანების სასპორტო სკოლის კალათბურთელებმა საჩვენებელი თამაში გამართეს.

,,ჩემთვის ორმაგად სასიხარულოა, რომ საკალათბურთო მოედანი, რომელიც მესამეა ჩემი და გალფის თანამშრომლობის განმავლობაში, იმ ქალაქში გაიხსნა, რომელთანაც ბავშვობის საუკეთესო წლები და მოგონებები მაკავშირებს. საკალათბურთო მოედანი სენაკში, სპორტის ამ სახეობის განვითარებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია" - აღნიშნა ზაზა ფაჩულიამ.

საქართველოს მასშტაბით რიგით მესამე საკალათბურთო კორტის მოწყობის შესახებ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს სენაკში ხელი 2019 წლის 12 აგვისტოს მოეწერა.

პრეზენტაცია

სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე, დავით ვერავა, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია საკრებულოს წევრებთან და შესაბამისი სექტორის წარმომადგენლებთან ერთად, გარემოსდაცვითი ეკოლოგიური ასოციაცია ,,დეას" ორგანიზებით გამართული პროექტის - ,,ადგილობრივი თემების ინფორმირებულობა და ჩართვა საძოვრების მდგრადი მართვისა და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის პროცესში" პრეზენტაციას დაესწრნენ.

პროექტი სენაკის მუნიციპალიტეტის ზემო ჭალადიდის ადმინიტრაციულ ერთეულში, გარემოსდაცვითი ეკოლოგიური ასოციაცია ,,დეას", საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს, კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის, ,,კავკასიის გენეტიკის" პარტნიორობითა და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მცირე გრანტების პროგრამის (GEF SCP) ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

(გაგრძელება მეხუთე გვერდზე)

მუნიციპალიტეტის მერიაში (გაგრძელება)

სამუშაო შეხვედრა

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, მუნიციპალიტეტების მერებთან და შესაბამისი სექტორების წარმომადგენლებთან ერთად, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის - „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" ფარგლებში, ბათუმში, სამუშაო შეხვედრას დაესწრო.

„მერები ეკონომიკური ზრდისთვის" (M4EG) ქსელში გაერთიანებული 48 მუნიციპალიტეტის მერთან და ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სპეციალისტებმა, ინოვაციური იდეების საგრანტო პროგრამის ფარგლებში გამართული რეგიონული საინფორმაციო შეხვედრები შეაჯამეს.

საგრანტო კონკურსის შედეგად შერჩეული თითოეული მუნიციპალიტეტი შეძლებს თავისი იდეის განსახორციელებლად 60,000 ევრო მიიღოს.

M4EG პროექტი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ხორციელდება (აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი, უკრაინა) და საშუალო და მცირე ზომის ურბანულ დასახლებებზეა ორიენტირებული. საგრანტო კომპონენტის გარდა, ეს ინიციატივა ითვალისწინებს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას, ინკლუზიურ ზრდაზე ორიენტირებული ინოვაციური მიდგომების სწავლებას და ცოდნისა და გამოცდილების გაცვლას ისეთ საკითხებში, როგორიცაა ადგილობრივ კონტექსტზე მორგებული ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმების შემუშავება, სტრატეგიული ხედვა და მდგრადი ურბანული განვითარება.

M4EG პროექტის მეშვეობით, ევროკავშირი (EU) და გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) ხელს უწყობენ პანდემიით გამოწვეული კრიზისის დაძლევასა და ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებაში ახალი შესაძლებლობების აღმოჩენას. ადგილობრივ თვითმმართველობებთან და მოსახლეობასთან მჭიდრო თანამშრომლობით, M4EG პროექტი განვითარების ინოვაციურ მიდგომებს იძიებს და არსებული ქსელის გაფართოვებაზე მუშაობს.

მუნიციპალიტეტებისთვის განკუთვნილ საგრანტო პროგრამაში მონაწილეობის განაცხადების მიღება 2021 წლის 20 დეკემბერს დასრულდება.

2022 წლის დასაწყისში, ამ განაცხადების საფუძველზე ერთი საპილოტე მუნიციპალიტეტი შეირჩევა, რომელიც დარგობრივი პორტფელის დიზაინის მეთოდის დანერგვაზე იმუშავებს. ეს მიდგომა ადგილობრივი განვითარების ძირეულ გარდაქმნას ითვალისწინებს და ინტეგრირებულ სწავლებას, რესურსების მართვას, არსებული შესაძლებლობების გამოყენებასა და ექსპერიმენტულ მიდგომას მოიცავს.

კონკურსის შედეგად გამოვლენილი სხვა მუნიციპალიტეტები ჩაერთვებიან ინოვაციური იდეების საგრანტო პროგრამაში – City Make-Over: Reimagining City Life.

საგრანტო პროგრამა ხორციელდება ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) რეგიონული ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის", M4EG, ფარგლებში.

ევროკავშირის (EU) მიერ დაფინანსებული ინიციატივა M4EG, „მერები ეკონომიკური განვითარებისთვის", 2017 წლიდან მიმდინარეობს. 2021 წლიდან, M4EG ინიციატივის განხორციელებას გაუძღვება გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), ევროკავშირთან (EU), ადგილობრივ ხელისუფლებასთან და სხვა პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობის პირობებში.

შეხვედრა მერის წარმომადგენლებთან და ასისტენტებთან

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ პირველ მოადგილესთან, გრიგოლ ბაღათურიასთან ერთად, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან და ასისტენტებთან პირველი სამუშაო შეხვედრა გამართა.

მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ ახლადდანიშნული წარმომადგენლების და ასისტენტების საქმიანობის უმთავარესი მიმართულება უნდა იყოს მოსახლეობასთან მუდმივი კომუნიკაცია, მათი პრობლემების შესწავლა, მოქალაქეთა საჭიროებებზე მორგებული გადაწყვეტილებების მიღება, არსებულ გამოწვევებსა და მათი გადაჭრის შესაძლებლობებზე ხალხთან ღიად საუბარი.

„ჩვენ, გუნდური მუშაობით, ახლებური შემართებითა და ხედვებით, უნდა შევძლოთ ყველა წინასაარჩევნო დაპირების შესრულება, მიმდინარე და ახალი პროექტების სრულფასოვნად განხორციელება" - აღნიშნა ვახტანგ გადელიამ

გოჩა ტყეშელაშვილი სენაკის მერს შეხვდა

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ გადელია სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტ „ეტალონის" იდეის ავტორს და წამყვანს, აკადემიურ დოქტორს, გოჩა ტყეშელაშვილს შეხვდა.

მუნიციპალიტეტის მერს გოჩა ტყეშელაშვილმა თავისი ავტორობით შედგენილი სახელმძღვანელო „პირველკლასელთა აკადემია" გააცნო.

მსგავსი შინაარსის წიგნი საქართველოში პირველად გამოიცა და ის მუნიციპალიტეტების სკოლამდელი აღზრდის სექტორის განვითარებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

„წიგნი მართლაც ამართლებს სახელწოდებას. სახელმძღვანელო მრავალფეროვანი და შინაარსობრივად დატვირთულია. ვფიქრობ, რომ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები ავტორის მოსაზრებებს პრაქტიკაში გამოიყენებენ. დარწმუნებული ვარ, ჩვენს მუნიციპალიტეტში აქტიურად დაინერგება ის ინოვაციები, რასაც სახელმძღვანელო გვთავაზობს. მუნიციპალიტეტის მერია კი გამოთქვამს მზაობას, მხარი დაუჭეროს ყველა წამოწყებას, რაც ჩვენი მომავალი თაობების განათლებისა და განვითარებისთვის რელევანტურია" - აღნიშნა ვახტანგ გადელიამ.

შეხვედრაზე ასევე იმსჯელეს სამომავლო თანამშრომლობაზე.

წინასაახალწლო სეზონი

სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ახალგაზრდულმა თეატრმა „ფიროსმანი" წინასაახალწლო სპექტაკლების სეზონი ნოდარ დუმბაძის მოთხრობის მიხედვით დადგმული მონო სპექტაკლით გახსნა.

სპექტაკლს სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ გადელია, პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ.

ახალგაზრდა ნიჭიერმა მსახიობმა ნიკოლოზ კაჭარავამ მონო სპექტაკლში „დედა" შთამბეჭდავად წამოაჩინა დედის ფენომენი.

სპექტაკლის რეჟისურა ვეფხვია გორგოძეს ეკუთვნის.

ნიკოლოზ კაჭარავა ახალგაზრდული თეატრის დაარსების დღიდან, მისი გამოკვეთილი სახეა. მან არაერთი დასამახსოვრებელი როლი შექმნა.

დღევანდელი პრემიერა წარმატებული ახალგაზრდის მორიგი შემოქმედებითი გამარჯვებაა.

მხატვრის საერთაშორისო დღე

მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის ორგანიზებით, სამხატვრო სკოლაში, მოსწავლეთა ნამუშევრების, სკოლის ისტორიის და მისი მიღწევების ამსახველი ფოტო-მასალების გამოფენა გაიმართა.

გამოფენა სენაკელი მხატვრის, სამხატვრო სკოლის პედაგოგის, მოსე (ნუკრი) გერსამიას ხსოვნას მიეძღვნა.

სენაკელი მხატვრების შემოქმედებაზე, სკოლის დაარსების ისტორიასა და წარმატებულ წლებზე ხელოვნების ცენტრის დირექტორმა, ვეფხვია ვეფხვაძემ ისაუბრა.

მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, სენაკელ მხატვრებს პროფესიული დღესასწაული მიულოცა და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

მხატვრის დღის აღნიშვნა სიმბოლურად, სახვითი ხელოვნების გალერეაში, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ორგანიზებით გამართული ღონისძიებით დასრულდა.

საღამოს სენაკის საპატიო მოქალაქე, მხატვარი ლერი კართხია უძღვებოდა.

გალერეაში გაიმართა ფონდში დაცულ ქართველ და უცხოელ ფერმწერთა ნამუშევრების გამოფენა.

სენაკელი მხატვრების შემოქმედებასა და მიღწევებზე, მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დირექტორმა, ბადრი ქუთელიამ ისაუბრეს.

ახალგაზრდული თეატრის „ფიროსმანი" დასმა (რეჟისორი - ვეფხვია გორგოძე) მაყურებელს სპექტაკლი „მე ვარ მხატვარი..." წარუდგინა.

ღონისძიებაში მონაწილეობა ანსამბლმა „მუსიკელმა" და მუსიკოს-შემსრულებელმა სალომე ბერიშვილმა მიიღეს.

საღამოს საკრებულოს წევრები - გიგა წურწუმია, ზაზა ნაჭყებია, ლევან უჩანეიშვილი, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ

(გაგრძელება მეექვსე გვერდზე)

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღე

„დღეს თქვენი დღეა - განსაკუთრებული ადამიანების დღე.

ჩვენი მუნიციპალიტეტი სიმბოლური აქტივობებით უერთდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღეს.

ჩვენი ყურადღება და თანადგომა მათ მიმართ მხოლოდ დღევანდელი დღით არ შემოიფარგლება. ჩვენ ვახორციელებთ და ვგეგმავთ არაერთ პროექტს, რომლის მიზანიც განსაკუთრებული საჭიროების მქონე ადამიანების სოციალური იზოლაციის დაძლევა, საზოგადოებაში მათ მიმართ არსებული სტერეოტიპების რღვევა და მათი რეალური შესაძლებლობების წარმოჩენაა.

შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს, ჩვენ მეგობრები ვართ, თქვენ - ჩვენი საზოგადოების თანასწორი და სრულფასოვანი წევრები" - ამ სიტყვებით მიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ გადელიამ ჩვენს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ, გამორჩეულად თბილ ადამიანებს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის წარმომადგენლები განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვთა დღის ცენტრ „ლაზარეს" ესტუმრნენ. მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ორგანიზებით, შემოქმედებითმა ჯგუფებმა და გასართობი ცენტრის „Big day" ანიმატორებმა, დღევანდელი დღის გმირებს სახალისო გარემო შეუქმნეს.

მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ გადელიამ, პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბაღათურიამ, საკრებულოს წევრებმა - საბა ოდიშარიამ, გიგა წურწუმიამ, ლევან უჩანეიშვილმა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცის სამსახური, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების პროგრამის ფარგლებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უწევს ინდივიდუალურ დახმარებას, კერძოდ; მხედველობის პრობლემის მქონე და სმენადაქვეითებულ პირებზე წელიწადში ორჯერ, ერთ მოქალაქეზე გაიცემა 200 ლარი; გონებრივი განვითარების შეფერხების (მათ შორის, დაუნის სინდრომი, ცერებრული დამბლა, აუტიზმი) მქონე პირებზე, ყოველთვიურად გაიცემა 100 ლარი;

მუნიციპალიტეტის მერია ასევე უზრუნველყოფს დღის ცენტრის „ლაზარე 2015" ფინანსურ მხარდაჭერას. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, სენაკის მუნიციპალიტეტში, იგეგმება პირველი საოჯახო ტიპის საცხოვრისის გახსნა, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს საშუალება ექნება იცხოვრონ და მიიღონ ის სერვისი, რასაც ოჯახურ გარემოში მიიღებდნენ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის გაუმჯობესება და ყველასათვის თანასწორ შესაძლებლობათა უზრუნველყოფა ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

საუკეთესო სურვილებით

სენაკის საპატიო მოქალაქე, სპორტული ჟურნალისტი, არაერთი წიგნის, ნოველისა და ჩანახატის ავტორი, პუბლისცისტი და თაობათა აღმზრდელი ბატონი ვაჟა დანელია გაზეთ „კოლხეთის" თანამდგომია.

ის იმ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნება, რომლებმაც კარგად იციან რეგიონალური მედიის დანიშნულება. ბატონი ვაჟა აქტიურად თანამშრომლობს 99 წლის „კოლხეთთან".

ჩვენს საპატიო რესპონდენტს და მკითხველს ვულოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ხალისიან დღეებს, წარმატებულ პროფესიულ საქმიანობას.

უფლის წყალობა არ მოკლებოდეს მის გზა-სავალს!

გაზეთ „კოლხეთის" რედაქცია

წიგნი მხარეთმცოდნეობის მუზეუმზე

მწერალ ბორის დავითაიას ავტორობით გამოიცა ჟ. შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მოკლე ისტორია, მიძღვნილი დაარსებიდან 30 წელთან დაკავშირებით.

134 გვერდიან წიგნში ვრცლადაა მოთხრობილი სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი ათობით უნიკალური ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ნაკეთობებზე, მათ შორის 4- ბერძნულ წარწერებიან ქვაზე, რომლებიც ამჟამად ეროვნულ მუზეუმშია დაცული., ასევე მოთხრობილია კოლხეთისა და ეგრისის წარსულზე. თუ რა წვლილი შეიტანეს ჩვენმა წინაპრებმა ზოგადსაკაცობრიო მიღწევებში.

წიგნში ნაჩვენებინა, რომ ფონდში დაცულია 5 ათასზე მეტი ექსპონატი. ხოლო, მუდმივ გამოფენაში ჩართულია 400-ზე მეტი, რომელიც პერიოდულად იცვლება. მათ შორისაა ქვის ხანის იარაღები, ანტიკური პერიოდის საბრძოლო იარაღები. განმარხებული მოლუსკი (რომელიც შედის ამონიტთა ჯგუფში) ასევე სპილოს ფიგურა და სხვანი.. უმეტეს წილ საუბარია სამეურნეო, საყოფაცხოვრებო და სასოფლო იარაღების დანიშნულებასა და გამოყენებაზე.

წიგნში შესულია მუზეუმის თანამშრომელთა საინტერესო მოგონებები. ...ასევე უიშვიათესი ცნობები წარსულზე.. თუ როგორ დაარსდა ქალაქი ახალი - სენაკი. რით არის გამორჩეული ეგრისის სამეფო, რომლის ნაფუძარზე დგას ჩვენი ქალაქი და მუნიციპალიტეტი.

წიგნს დართული აქვს ფოტო მასალა..

მადლობა ავტორს მუზეუმის ისტორიის შედგენისა და ყოფილი თანამშრომლების გახსენებისთვის.

გრიალა ანთია,
მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდის მცველი

საფეხბურთო სკოლა „ეგრისი"

საქართველოში ფეხბურთი ბავშვების უსაყვარლესი სპორტია. ჩვენს ქალაქშიც ძალიან უყვართ ფეხბურთი. აიპ სენაკის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა „ეგრისის" მოთამაშე სპორტსმენი ბავშვები წარმატებით გამოდიან სხვადასხვა საფეხბურთო ტურნირებზე. ერთ-ერთი მწვრთნელი გახლავთ კეთილსინდისიერი, თავისი საქმის ერთგული, ვაჟკაცური ადამიანი, თავისი საქმის პროფესიონალი, რომელსაც უზომოდ უყვარს თავისი ქვეყანა, ქალაქი, თავისი საქმე და რაც მთავარია ბავშვები, ხვიჩა სანაია. მისმა გაწვრთნილმა საფეხბურთო გუნდმა „ეგრისმა" 2021 წელს ძალიან ბევრ ტურნირში მიიღო მონაწილეობა და დიდ წარმატებებსაც მიაღწია. პანდემიის დროსაც კი არაერთი წარმატება მიითვალა გუნდმა.

2021 წლის 3 და 4 აპრილს თერჯოლის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის სპორტულ-გამაჯანსაღებელმა ცენტრმა ვეტერანი ფეხბურთელის, აწ გარდაცვლილი (ქუთაისის „ტორეპდო, ლანჩხუთის „გურია", თბილისის „დინამო") ზურაბ ნემსაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რეგიონალური ტურნირი ჩაატარა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა თექვსმეტი გუნდი. სამეგრელოს რეგიონიდან მიწვეული იყო სენაკის ბავშვთა გუნდის „ეგრისის" ორი ასაკობრივი ჯგუფი (2008-2009 და 2005-2006 წლებში დაბადებულები). ორივე ჯგუფის ბავშვებმა წარმატებით იასპარეზეს და ჩემპიონები გახდნენ.

ტურნირი ჩატარდა „ოლიმპიური სისტემით. 2005-2006 წ.წ. დაბადებულმა ბავშვებმა 1/8 ფინალში დაამარცხეს „თორი"(ბორჯომი) 2:1, ¼1/4 ფინალში-„სამგურალი"-(წყალტუბო) 3:2, ნახევარფინალში „ოკრიბა"(ტყიბული). ფინალში შეხვდნენ „მარგვეთს"(ზესტაფონი). ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ. პენალტების სერიით გამარჯვება მოიპოვა „ეგრისმა" 5:4 (6:5) და მოიპოვა ჩემპიონის ტიტული.

2008 - 2009 წელს დაბადებულთა ტურნირი გაიმართა ორ, ა და ბ ჯგუფად. თითოეულ ჯგუფში იყო 4 გუნდი. „ეგრისმა თავის ჟგუფში დაიკავა პირველი ადგილი, ნახევარფინალში დაამარცხა „ივერია" (ხაშური) 4:2. დაძაბული და საინტერესო გამოდგა ფინალი ქუთაისის უძლიერეს გუნდ „ტორპედოსთან". აქაც იმარჯვეს „ეგრისელებმა" და პენალტების სერიაში 5:3(7:5) გაიმარჯვეს. ორივე გუნდი დააჯილდოვეს საპატიო თასებით და სიგელებით. გამოვლინდნენ საუკეთესო მოთამაშეები.

28 ნოემბერს აიპ სენაკის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა „ეგრისის" ინიციატივით (სკოლის დირქტორი ელგუჯა კვაშილავა, მწვრთნელი ხვიჩა სანაია) ჩატარდა რეგიონალური მინი ტურნირი „მეგობრობის თასი" 2008-2009 წ.წ დაბადებულ ბავშვებს შორის. შეჯიბრში მონაწილეობას ღებულობდა 5 გუნდი და ჩატარდა წრიული სისტემით. ტურნირის გამარჯვებული გახდა სენაკის „ეგრისი".

	გუნდის დასახელება	თ	მ	ფ	წ	ბ:შ	ქ
1	„ეგრისი" (სენაკი)	4	3	1	0	14:8	10
2	„ოკრიბა"(ტყიბული)	4	2	1	1	12:8	7
3	„სამგურალი"(წყალტუბო)	4	2	0	2	7:8	6
4	„სულორი" (ვანი)	4	1	1	2	9:11	4
5	„მერცხალი"(ქუთაისი)	4	0	1	3	10:17	1

სენაკელებმა დაამარცხეს ვანის „სულორი 3:0, წყალტუბოს „სამგურალი 3:1 და ტყიბულის „ოკრიბა" 4;3, ფრედ, 4:4 ითამაშეს ქუთაისის „მერცხალთან".

ხვიჩა სანაია: სენაკის საფეხბურთო სკოლა წლის ბოლოს გეგმავს შიდა ტურნირის „ზამთრის თასის" ჩატარებას, წარმატებული ფეხბურთელების გამოსავლენად. ხვიჩა სანაია ოცდაათი წელია შრომობს და მოღვაწეობს საფეხბურთო სამყაროში. არის მრავალი საერთაშორისო, რესპუბლიკური, რეგიონალური და რაიონული ტურნირების მონაწილე, პრიზიორი და ჩემპიონი. მისი გაზრდილები წარმატებით გამოდიან სხვადასხვა გუნდების და ნაკრების შემადგენლობაში. ჰქონდა რთული პერიოდები, მაგრამ იმდენად დიდი იყო ფეხბურთის სიყვარული, რომ უხელფასოდ, ენთუზიაზმით მუშაობდა. ის ნამდვილად იმსახურებს 2021 წლის საუკეთესო მწვრთნელის წოდებას. ვუსურვებთ ხვიჩას და მის გუნდს წარმატებებს და ბედნიერ შობა-ახალ წელს.

ლია მინდაძე-გვასალია,
მეორე საჯარო სკოლის პედაგოგი
ლაშა კვირკვაია, მშობელი

ნომრის სტუმრები: სკოლა „მარიოტას“ მეორეკლასელები

ახალი წელი ყველა ადამიანისთვის განსაკუთრებული და გამორჩეული დღესასწაულია. განსაკუთრებით პატარებისათვის. ყველა ბავშვს უყვარს ახალი წელი და საერთოდ, ბავშვებს დღესასწაულები უყვართ! უყვართ მრავალფეროვნება, ხალხმრავლობა, სიურპრიზები და საჩუქრები. ახალი წელი–ის ხომ ის ჯადოსნური ღამეა, როდესაც ოცნებები ხდება და ბავშვები ნანატრ საჩუქრებს იღებენ ჯადოსნური პერსონაჟის თოვლის ბაბუასაგან, რომელიც ბავშვების წასახალისებლად და მათთვის ზეიმის განწყობის შესაქმნელად ჯადოსნური სამყაროდან მოდის!

„კოლხეთის" საახალწლო ნომერს განსაკუთრებული სტუმრები ჰყავს, კერძო სკოლა „მარიოტას" მეორეკლასელები და მათი პედაგოგი თამუნა ჯალაღონია. ისინი მოგვიყვებიან როგორ სწავლობენ, როგორი მიღწევებით ხვდებიან ახალ წელს, როგორ ემზადებიან ახალი წლის შესახვედრად და რაც მთავარია მოგვილოცავენ შობა-ახალ წელს.

დამრიგებელი, არაერთი თაობის აღმზრდელი, ბავშვებზე უსაზღვროდ შეყვარებული, გამოცდილი პედაგოგი თამუნა ჯალაღონიაა. პატარებსაც ძალიან ძალიან უყვართ თავიანთი თამუნა მასწავლებელი, თვალებში შესცინინებენ.

თამუნა მასწავლებლის კლასში მოსწავლეები იძენენ ცოდნას და ამავე დროს ყალიბდებიან საზოგადოების ღირსეულ წვრებად.

„წლებია ვმუშაობ „მარიოტაში", არაერთი თაობა გამიზრდია, სულ ახალგაზრდა მოვედი აქ –ამბობს თამუნა მასწავლებელი - ფაქტიურად აქ გავიზარდე, ჩამოვყალიბდი როგორც მასწავლებელი. მიკერძოებაში არ ჩამითვალოთ, მაგრამ ასე მგონია ჩვენი სკოლის აღზრდილები განსაკუთრებულები არიან. ისინი სკოლიდან კარგ განათლებას, სიყვარულს და სითბოს იღებენ.

თუ ბავშვს მასწავლებელი უყვარს, საგანიც უყვარდება და სწავლაც უადვილდება, ამიტომ დიდ როლს ვანიჭებ ურთიერთობებს. ვცდილობ ვიყო სამართლიანიც, მომთხოვნიც და ამავე დროს თბილი და ტკბილიც. პატარებთან ურთიერთობა განსაკუთრებით საინტერესოა. შრომატევადია, მაგრამ სახალისო. ყველა ჩემი გამოშვება სხვადასხვანაირად განსაკუთრებულია. ასე მგონია ჩემი სული და გული გავატანე. ამჟამად მყავს ორი კლასი მეცხრე, რომელსაც პირველი კლასიდან მივყვები და მეორე კლასი. დღეს მეორეკლასელებზე გესაუბრებით: საოცარი ბავშვები არიან, ნიჭიერები, კრეატიულები, მეგობრულები, მოსიყვარულეები. ყველა დროს ფეხი უნდა აუწყო, მიყვარს სიახლეები, ჩემს ბავშვებს ვასწავლი თავისუფალ აზროვნებას. ისინი უშუალო არიან ჩემთან და ეს თავისუფლება მათ ეხმარებათ უშიშრად, თამამად გამოთქვან საკუთარი აზრი. ხშირად ვუწყობ სხვადასხვა აქტივობას და ისინც სიამოვნებით ერთვებიან ჩემს გამოწვევაში.

როცა გასცემ სიყვარულს, უკანვე სიყვარული გიბრუნდება. ჩემს პატარებს ვუსურვებ ყველა ნატვრის ახდენას!

პანდემიის მიუხედავად არცერთი დღე არ ვყოფილვართ ონლაინზე, უშიშრად ვუმკლავდებით და გვჯერა სიყვარული, თანადგომა გადაარჩენს ქვეყანას.

კერძო სკოლა „მარიოტის" მეორეკლასელები და მათი ხელმძღვანელი გილოცავთ დამდეგ 2022 წელს. გისურვებთ ულევ სიხარულს, სიკეთეს და წარმატებებს თქვენ და თქვენ ოჯახებს! მშვიდობის, კეთილდღეობის, წინსვლის და გაძლიერების წელი ყოფილიყოს თითოეული ჩვენთაგანისთვის და სრულიად საქართველოსთვის!

მათე ჩიქობავა, ნიკოლოზ ბერიძე, ნატა გეგენავა, ანასტასია ქობალია, ბარბარა აკობია, ნინო მაშინაია

გვიყვარს ახალი წელი, მაღალი და ლამაზი ნაძვის ხე, ლამაზად და უხვად გაშლილი სუფრა, ჩურჩხელები, შოკოლადები და ტკბილეულობა.

საახალწლოდ ძალიან ბევრი სურვილი გვაქვს, ძალიან გვინდა ახალი წლის ღამეს დიდი თოვლი მოვიდეს, არე–მარე თეთრად ქათქათებდეს და ხეები თეთრი

ტანსაცმლით იყვნენ მორთულნი, თოვლის ბაბუამ ჩვენს და-ძმებს. ჩვენს მეგობრებს, ყველა ბავშვს საჩუქრები მოუტანოს, ჩვენი ყველაზე დიდი სურვილია პანდემია დასრულდეს და არავინ გახდეს ავად, მსოფლიოში ყველა ბავშვი იყოს ბედნიერი.

ანასტასია ხახუბია, ქეთათო დამენია, გიორგი დარსალია, ანამარია მირგატია, ნიკოლოზ გვაზავა, ანანო წულეისკირი

მალე ახალი წელი მოვა. ჩვენ დიდი ხანია ველოდებით მის მობრძანებას. გვიყვარს თეთრი თოვლი, ფერად–ფერადი ფეირვერკები, ციმციმა ნათურებით განათებული ქუჩები, ლამაზად მორთული

ნაძვის ხე, მხიარული სუფრები და ბევრი საჩუქრები.

გვინდა რომ ყოველი დღე ახალ წელს ჰგავდეს. ყველა ადამიანი იყოს ბედნიერი და ჯანმრთელი. გვინდა საჩუქრებითა და კარგი ნიშნებით გავახაროთ ჩვენი მშობლები.

ვისურვებდით ჩვენი სამშობლო მალე ყოფილიყოს ნაძვის ხესავით ლამაზი, ბედნიერი და გამთლიანებული.

ელენე ზარანდია, ალექსანდრე ჯალაღონია, ელენე თათარიშვილი, ერეკლე წურწუმია, თეკლა შონია.

მოდის ახალი წელი. ყველა ბედნიერია. ამბობენ ახალი წლის ღამეს ყველა სურვილი სრულდებაო. მოგვწონს როდესაც საათი თორმეტს ჩამოკრავს, ცა ულამაზესი ფერებით განათდება. როცა პატარები ვიყავით, ყოველთვის გვქინდა სურვილი, თოვლის ბაბუა გვენახა, მაგრამ ის მაშინ მოდიოდა, როცა ჩვენ უკვე გვეძინა. ეს გვწყინდა, მაგრამ წყენას საჩუქარი გვიქარწყლებდა. ჩვენი სურვილია დედიკოები და მამიკოები, ჩვენი მეგობრები, მასწავლებლები მუდამ ბედნიერები იყვნენ. დაე, ჩვენ სამშობლოში დაისადგუროს სიკეთემ, ბედნიერებამ.

ალექსანდრე კალანდია, ნინო ცეკვავა, დათო ფაჩულია, ელენე ფაჩულია, ალექსანდრე ჯინორია, ალექსანდრე ჯოჯუა

ახალი წლის მოსვლა ყველაზე მეტად პატარებს გვიხარია. განსაკუთრებით მიყვარს 31 დეკემბრის ღამე, როდესაც ერთმანეთს საჩუქრებს ვურიგებთ, ვხსნით, ვნახულობთ. ნაძვის ხის მორთვის პროცესი ხომ უჩვენოდ არ ხდება, ვცდილობთ, მთელი სახლი მოვრთოთ. ვიცი, რომ საჩუქრებს თოვლის ბაბუა არ გვჩუქნის, თუმცა, მის არსებობას ბოლომდე ვერ გამოვრიცხავთ. საჩუქარი ხან კარებთან გვხვდება, ხან ნაძვის ხის ქვეშ. როგორ გვინდა შევხვდეთ თოვლის ბაბუას, პირველ რიგში, ვკითხავდით, ნამდვილია თუ არა.

თოვლის ბაბუა რომ ვიყოთ, დავაკვირდებოდით, როგორ იქცევიან ბავშვები და ამის მიხედვით დავასაჩუქრებდით.

გვინდა, რომ ყველა ბავშვს სწამდეს ამ საოცრების, რაც მის ცხოვრებას მეტად ახალისებს! გვინდა, რომ უხაროდეთ, რომ სადღაც, დათოვლილ ადგილას, არის პაპა/სანტა, რომელიც მის თხოვნებს გულისყურით მოეკიდება და საშობაოდ ან საახალწლოდ მას გაახარებს!

ვულოცავთ სკოლა „მარიოტას" მეორეკლასელებს, მათ პედაგოგს დამდეგ 2022 წელს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას და უამრავ სიხარულს!

მოამზადა მაია გერგაია

სოსო მიქავა



დიდი მწუხარება გვინდა გამოვთქვათ ჩვენი გუნდის ღირსეული წევრის, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადგენლის, კეთილშობილებით გამორჩეული საიმედო მეგობრის, საამაყო სენაკელის, სოსო მიქავას გარდაცვალების გამო.

წლების მანძილზე, საპასუხისმგებლო თანამდებობზე მუშაობისას, ბატონი სოსო დიდი პასუხისმგებლობით და პროფესიონალიზმით გამოირჩეოდა.

მისი სახით დავკარგეთ საკუთარი ქვეყნის, მშობლიური სენაკის დიდი გულშემატკივარი, კაცი, რომელსაც წინ ბევრი სასიკეთო საქმე ელოდა.

ამ დიდ დანაკლისს გულისტკივილით ვუსამძიმრებთ ოჯახს, მეგობრებსა და თანამშრომლებს.

მუნიციპალიტეტის მერია

მადონა კუჭავა-ფიფია

გიხსენებთ და გული გვტკივა ყველას, შენ ხომ ის დიდი ტკივილი ხარ, რომელიც არასოდეს განელდება და დროსთან ერთად იზრდება.აღარც ცრემლი დაგვრჩა და აღარც სიტყვები გვყოფნის იმ სევდისა და ტკივილის გადმოსაცემად რაც შენმა ტკივილმა გვაგრძნობინა.

უშენოდ შევხვდებით შენს დაბადების დღეს. ღმერთმა მხოლოდ 67 წელი გარგუნა სიცოცხლისათვის. შენი იმქვეყნად უდროოდ წასვლით სიხარული მწუხარებით შეგვიცვალე, ცრემლიანი თვალებით მოგილოცავთ დაბადების დღეს მადონა 14 იანვარს 68 წელი შეგისრულდებოდა. ძალიან გვენატრები და გვიყვარხარ. ისღა დაგვრჩენია, მივიდეთ შენთან, რომ მივიტანოთ ყვავილები ცრემლიანი თვალებით აგინთოთ სანთლები და ვილოცოთ შენი ლამაზი და უბოროტო სულისათვის. შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია. დამკვიდრდი იქ სადაც მართალნი განისვენებენ. ჩვენ მიერ დანთებული სანთლები გაგინათებენ გზას სამუდამო სასუფეველში. მშვიდად განისვენე მარადიულ სასუფეველში.

ოჯახი

ვლადიმერ (აჩიკო) წირღვავა

ახლო ნათესაური კავშირი კიდევ უფრო მჭიდროა, თუ ის გამყარებულია ფიზიკური ურთიერთობებით, სიცოცხლის გარკვეულ პერიოდში თანაცხოვრებით. ასეთ გარემოში უფრო მარტივად შეიცნობ და გაითავისებ ადამიანის ბუნებას, მის მორალურ, ინტელექტუალურ თუ სხვა ყოფით კატეგორიებს, ადამიანი შენში შემოდის , ხდება შენი ცხოვრების გარკვეული თანამგზავრი, ასეთ შემთხვევაში მეხსიერება მარტივად აარქივებს მოვლენებს, შესაბამისად შეგიძლია მასზე სხვანაერი დაკვირვება, განვლილი გზის გადაფასება და მისი შენებური შფასებით გარკვეული პორტრეტის წარმოდგენა...

ზოგჯერ ბედის ქრონოლოგია მწყობრად არ ალაგებს ცხოვრებოსეულ მოვლენათა ფრაგმენტებს, ერთმანეთს გვტაცებს ადამიანებს, გვიხდება წარსულის ქექვა, ცნობების მატერიალურ არქივებში ძიება, მშობლების, ნათესავების, მეგობრების, მეზობლების გამოკითხვა და მათი შეფასების საფუძველზე ადამიანის ნათესაური, მეგობრული თუ საზოგადოებრივი სტატუსის დანახვა... ბიძაჩემს - ვლადიმერ (აჩიკო) წირღვავას ჩემი შეგნებული მეხსიერებით მე არ მოვსწრებივარ, პატარა ვიყავი როდესაც გარდაიცვალა, შესაბამისად, მარტივი არ არის ჩემთვის მისი პიროვნების წარმოდგენა.. უკვე მოწიფულ ასაკში, ოჯახის, ნათესავების, მისი მეგობრების, მეზობლების მიერ, სხვადასხვა დროსა და ვითარებაში, ბიძაჩემის სხვადასხვა ასპექტში დახასიათების, პატარ-პატარა ისტორიების გადმოცემის შედეგად ის გავაცოცხლე ჩემში, მოვნიშნე შტრიხები და მინდა სიმბოლოდ მისი დაბადების დღისა, წარმოგიდგინოთ საიუბილეო მონატრების დარად მისი მოკლე ბიოგრაფიული პორტრეტი - ის დაიბადა კომუნისტურ ეპოქაში, როდესაც საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფი შედიოდა თავისი განვითარების მომდევნო ფაზაში, რასავ დაერთო მძიმე რეპრესიები, დიახ, 1937 წელი არ იყო მარტივი დროის მონაკვეთი მაშინდელ თანამედროვეთათვის. მისი ბავშვობაც, დარად ნებისმიერი ბავშვისა, იყო ჩვეულებრივი, ყოველგვარი განსხვავებების გარეშე. სკოლა მისთვის, როგორც უმეტესი ყმაწვილკაცის ცნობოსმოყვარული მიდრეკილებისა, იყო ახალ-ახალი საგანმანათლებლო აღმოჩენების საშუალება, რასაც ნაყოფიერად იყენებდა. შემდგომ, პროფესიად აირჩია ისტორიკოსობა, რომელსაც წარმატებით დაეუფლა, არ სჯერდებოდა წარსულის მხოლოდ ქრონოლოგიურ აღწერას, იყო მუდამ ძიებაში, მის ინტერეს ხშირად აწვალებდა ის მტკიცებულებები, რასაც ემყარებოდა ესა თუ ის ისტორიული ფაქტი, გაიტაცა არქეოლოგიამ, მონაწილეობდა როგორც შიდა (საქართველოს) ისე საზღვარგარეთ ჩატარებულ არქეოლოგიურ გათხრებში, კერძოდ, იმყოფებოდა აღმოსავლეთის მსოფლიო არქეოლოგიურ ოაზისებში (ეგვიპტე, სირია, ლიბანი)... სამეცნიერო ჟურნალ „ძეგლის მეგობარში" (1971 წლის გამოცემა, 27-28 კრებული) დაცულია მის მიერ აღმოჩენილი ანტიკური ეპოქის მონეტები (ეკის განძი), რომელითაც პასუხი გაეცა არაერთ ისტორიულ ვარაუდს (ლაზეთის სამეფოს სავაჭრო ურთიერთობებს, მაშინდელი მსოფლიოს ცივილურ სამყაროსთან - რომის იმპერიასთან). „ეკის განძი" უნიკალურია თავისი მაშტაბებით. გარდა საგანმანათლებლო-სამეცნიერო მოღვაწეობისა, აქტიურად იყო ჩართული სენაკის (მაშინდელი ცხაკაიას) რაიონის მართვა-გამგეობის საქმეში: მუშაობდა სენაკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ჯერ მეცნიერ-მუშაკის, შემდგომ - დირექტორის თანამდებობაზე, სენაკის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომში, ჯერ კულტურის ძეგლთა დაცვის კომისიის თავმჯდომარედ, შემდგომ — აღმასკომში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების განყოფილების გამგედ. გადმოცემით, იყო მეგობრული, პატარასთან - პატარა, დიდთან - დიდი. მისი ოჯახი (მეუღლე - მზევინარ ალანია, შვილები - ადილარი, ვლადიმერი) ღირსეულად აგრძელებენ მის შემოქმედებით, თუ ყოფით ტრადიციებს. გული მწყდება, რომ განგებამ არ მარგუნა მასთან სიახლოვე, მისი ცოცხლად მოსმენა, რჩევების მიღება, მასთან მეგობრობა!

გიორგი გარუჩავა

სენაკის საინფორმაცი ცენტრის ჟურნალისტები თანაუგრძნობენ დალი შონიას და მარიამ მიქავას მეუღლის და მამის

სოსო მიქავას

გარდაცვალების გამო.

„სენამედი“ - იმედის კლინიკა

მსოფლიო ბოროტების მანქანა, რომელიც მთელი დატვირთვით ამუშავდა კაცობრიობის წინააღმდეგ, რის შედეგადაც მსოფლიო უხილავ მტერთან ბრძოლის მეხუთე ტალღას შეუდგა. ყოველ ტალღაზე ახალი თავსატეხი მუტაციები ჩნდება. კოვიდ-19 არის ბნელი ძალების მიერ შემოგდებული ვირუსი, რომელიც ხელოვნურად შექმნეს და ხელი შეუწყვეს მის გავრცელებას მსოფლიოში.

ვირუსთან დაკავშირებით ისტორია გრძელდება საქართველოშიც. საქართველო მასონ-გლობალისტების ინტერესთა სფეროში შედის, ჩვენ ხომ მსოფლიო გლობალური თამაშების მონაწილე ქვეყანა ვართ.

კორონავირუსის გავრცელების პირველ წელს საქართველოს ჯანდაცვა მოწოდების სიმაღლეზე, თითქოს კარგ მდგომარეობაში, ბრძოლისუნარიანად წარმოჩნდა, რაც მაშინდელი გადმოსახედიდან გვეამაყებოდა კიდევაც. განსაკუთრებით სამეგრელოში ერთობ ღიმილის მომგვრელი იუმორული განწყობა შეიქმნა ვირუსის მიმართ, რომ მეგრელებს კორონავირუსი აე დაემართებათ, რადგან მეგრელები წიწაკიან და ნიგვზიან საჭმელებს მიირთმევენ, ამიტომ შეუძლიათ თავი დაცულად და მშვიდად იგრძნონო. სამეგრელოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მართლაც დაიჯერა ეს დიდი სიცრუე.

გერმანიის ერთ-ერთი პოპულარული არხის გადაცემაში, გერმანელი ტელედიქტორები სიცილით იგუდებოდნენ, როცა შეიტყვეს, რომ საქართველოში ვირუსს ნაკურთხი წყლით ებრძვიან და კურნავენ, ქუჩებს კი საპნიანი წყლით რეცხავენო (ღმერთმა დამიფაროს ჩემი რწმენის უგულებელყოფა). აი, ასეთ ილუზიებში ვიცხოვრეთ. შემდგომმა მოვლენებმა დაგვანახა, რომ არც ჯანდაცვაში გვქონია საქმე კარგად(თუმცა მგონია, მაშინ ჩვენ ჯანდაცვას ზემოდან თითი დაუქნიეს). შემდგომ ვიღაცეებმა მალთუსის თეორიაც გააჟღერა. მალთუსი გახლდათ ინგლისელი მღვდელი, მეცნიერი, დემოგრაფი. მისი თეორიის არსი მდგომარეობდა შემდეგში, რომ დედამიწაზე მოსახლეობის აღწარმოება გარკვეულ ზღვარს უნდა ექვემდებარებოდეს. მიიჩნევდა, რომ მოსახლეობის ზრდა პლანეტა გეომეტრიული პროგრესით მიმდინარეობდა, რისთვისაც დედამიწას არ ეყოფოდა რესურსები მათ გამოსაკვებად და გამოსავალს ხედავდა სხვადასხვა დაავადებების გავრცელებაში, განსაკუთრებით ინფექციური ეპიდემიები, ძალადობა, თავაშვებული სექსუალური ცხოვრება, გვიანი დაქორწინება და ომები. ასე, რომ ლიბერალიზმი, რომელმაც დღეს ასეთი მასშტაბის სახე მიიღო, საკმაოდ შორიდან მოდის.

დღეისათვის საქართველოში კორონავირუსის გავრცელების ლეტალობის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია, საგანგაშო ნიშნულზეა, იხოცებიან ადამიანები, ნაწილი ჩვენი გენოფონდისა. ქვეყანაში, სადაც ცუდი ეკონომიური მდგომარეობაა, როცა პენსიონერებს ძალიან უჭირთ, როცა ამას დაემატა ვერაგი ვირუსი, რომელიც საპენსიო ასაკის ადამიანებს პირდაპირ ურტყამს და ცელავს. ადრე რესპირატორული ვირუსი ჩვეულებრივი გრიპი იყო, ასე თუ ისე ოჯახურ პირობებში „ტიბუთი " ამარცხებდნენ მას, კოვიდის შემთხვევაში ლეტალობის მაჩვენებელი ძალიან დიდია, რაც საფრთხის ქვეშ აყენებს მოსახლეობას, ამ თემაზე ექიმებს უფრო კარგად მოეხსენებათ.

ჩვენს ლამაზ ქალაქ სენაკში, დიდი ხანია ფუნქციონირებს სამედიცინო კლინიკა „სენა-მედი", რომლის მედპერსონალი აქტიურადაა ჩართული კოვიდ-ვირუსის საწინააღმდეგო ბრძოლაში, არც თუ ისე უშედეგოდ.. საოცრებაა პირდაპირ, რომ კლინიკაში კარგად შერჩეული კადრები-ექიმები, მედიცინის დები მუშაობენ. ამ დახატულ გოგოებს, სენა-მედის მერცხლებს დავარქმევდი, ან სრულიად კოვიდის რისხვებს.

მე, როგორც კოვიდგადატანილი პაციენტი, გამოვეწერე საავადმყოფოდან, არანაირი დისკომფორტი იქ არ მიგრძვნია. მადლობა პროფესსიონალ და გულისხმიერ ადამიანებს, მადლობა ექიმებს, განსაკუთრებით ნინო მგალობლიშვილს, ქირურგიული განყოფილების უფროსს, სვანეთის ამაყი მთების შვილს ილია ჯაფარიძეს(ხოჩა მარე), მედიცინის დებს: ნანა ქობალიას, ლელა არზიანს, თამთა ჯანჯღავას, ნინო ხარებავას, ჯანა ხარგელიას, თეონა კიპურჭიძეს, ლუიზა მხეიძეს და სხვებს. ყოველდღიურ მორიგე ექომებს: პაატა ჯიქიძეს, ირაკლი უბილავას, ავთო გვასალიას, ვახო შელიას. ადამიანებს თავისი საქმის პროფესიონალებს. წარმოუდგენელია იცხოვრო დედამიწაზე მედიცინის გარეშე. სწორედ ექიმები გვიხასნგრძლივებენ სიცოცხლეს ავადმყოფ ადამიანებს. კარგი ექიმი და მიგნებული წამალი სიცოცხლის შენარჩუნების გრძელვადიანი გზაა. გმადლობთ ყველაფრისათვის, ჩვენთვის რომ მუშაობთ. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

ბიჭიკო თუნთია

სარედაქციო ჯოლეგია

მთავარი რედაქტორი ნინო სართანია

რედაქტორი მედეა ბაღათურია

ჯორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიჯა მიქაბერიძე

ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:

სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.

ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში

რეგისტრაციის №56/7-17

გაზეთი ჯომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ"

ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33

ტელ: 223779,223711, 223499